

ბანმაოტპიტი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

„საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატება მოწადებულია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტიდან გამოშდინარე.

კანონპროექტით შემოთავაზებული დამატება ითვალისწინებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ კანონით დადგენილი მიზნებისათვის, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ კანონით დადგენილი იმთავის რეესტრაციისთვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებას. აღნიშნული დამატება შეეხება მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთებს, რომელთა კერძო საკუთრებაში გადასვლა განხორციელდა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ კანონის საფუძველზე. მოქმედი კანონის მიხედვით, იმთავის რეესტრაციის და მისი გაუქმების საფასური შეადგენს მინიმუმ 100 ლარს (50 ლარი იმთავის რეესტრაციისთვის და 50 ლარი იმთავის სარეესტრაციო ჩანაწერის გაუქმებისთვის), რაც მნიშვნელოვნად ზრდის მიწის პრივატიზებისას არსებულ საერთო ხარჯებს და აფერხებს მიწის პრივატიზების პროცესს.

ამ კანონის მიღება არ გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების პირდაპირ შემცირებას, ვინაიდან რეესტრაციისათვის დაწესებული საფასური არ შიდის ბიუჯეტში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემოსავალს წარმოადგენს.

ამ კანონის მიღება გამოიწვევს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას 180 000 ლარის ოდენობით, ვინაიდან იმთავის ხელშეკრულების რეესტრაციისათვის დაწესებული საფასურის გადახდის შემთხვევაში (დაახლოებით 10 000 ხელშეკრულება) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემოსავალი იქნება 1 000 000 ლარი, აქედან დღგ-ს გადასახადი ბიუჯეტისათვის შეადგენს 180 000 ლარს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი.